შპს პარმა

ს/კ 205016347

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო წლისათვის.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა:

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს პარმას ადმინისტრაცია.

კერძოდ კომპანიის დირექტორი: დავით თოფურია

კომპანიის მთ. ბუღალტერი: ნატალია ალთუნაშვილი

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;

ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუ ფორსმაჟორული გარემო პირობები არ იქნა გამოვლენილი.

დასაბუთებული და წინგახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;

აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;

მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;

თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები;

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება, დამტკიცებული და ხელმოწერილი ხელმძღვანელობის მიერ;

შპს პარმას დირექტორი	შპს პარმას ბუღალტერი
დავით თოფურია	ნატალია ალთუნაშვილი

Davit Topuria 01024071349

Digitally signed by Davit Topuria
Date: 2025.08.20 23:51:37

Co

ntents

1.ზოგადი ინფორმაცია 5

2.ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. 5

3.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....5

4.მსს ფასს-ზე გადასვლა 6

5. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა 6

6. სააღრიცხვო პოლიტიკა 6

7. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა, დაშვებები და შეფასებები 7

8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.....9

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები.....9

10. ძირითადი საშუალებები:.....9

11. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:..... 10

12. მოკლევადიანი ვალდებულებები: 10

13. სესხები 11

14. საგადასახადო ვალდებულებები:..... 11

15. სააქციო კაპიტალი:..... 12

16. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი (დივიდენდები) 12

17. შემოსავლების აღიარება:..... 12

18. ხარჯების აღიარება: 13

1.ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პარმა 2003 წლის 12 ნოემბერს დაფუძნდა საქართველოში, თბილისში. 100% იანი წილის მფლობელი და დირექტორი სიმონ თოფურია. შპს არსებობის ისტორიაში ორჯერ მოხდა ცვლილება, კერძოდ 2016 წელს შეიცვალა პარტნიორი და 100% იანი წლის მფლობელი გახდა მარინე დუნდუა , ხოლო 2017 წელს დირექტორის გარდაცვალების შემდგომ პარტნიორის გადაწყვეტილებით დირექტორად დაინიშნა დავით თოფურია. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: ჯურხა ნადირაძის 1 შესახ 24.

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი : 205016347.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა საგზაო-სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები , სპორტული მოედნების აღდგენა/რეაბილიტაცია როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ხოლო დამატებით საქმიანობას ახორციელებს საგზაო-სამშენებლო ტექნიკის გაქირავებით.

კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვების შემდგომ დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე .

2.ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი.

მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაცებზე.

3.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს). მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მსჯელობის ან კომპლექსურობის მაღალ ხარისხს შეიცავს, ასევე სფეროები, რომლებშიც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოიცავს. მოცემული ფინანსური ანგარიშგება

მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული იქნა საქართველოში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონით დაწესებული შეღავათი, რომლის საფუძველზეც არ წარადგენს შესადარისი პერიოდის ინფორმაციას.

4.მსს ფასს-ზე გადასვლა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის მეშვიდე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასის (IFRS for SME) შესაბამისად.

კომპანიას გასულ საანგარიშგებო პერიოდებში ხუთჯერ კიდევ აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება.

5. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია დამრგვალების გარეშე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდასთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ელემენტი (აქტივები/ვალდებულებები) გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა და უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც იმაზეა დამოკიდებული, უცხოური ვალუტის მოძრაობები მოგების პოზიციაშია თუ ზარალის.

6. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიაში ბუღალტრული აღრიცხვის ზუსტად წარმართვის მიზნით დანერგილია ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ საბუღალტრო პროგრამა „ორისი“. სადაც ხორციელდება ყოველდღიური ოპერაციების უწყვეტად აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშგების მიხედვით.

სააღრიცხვო პოლიტიკა რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდგომ არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელსაც იგი იყენებდა წინა საანგარიშგებო პერიოდებში, შესაბამისად სტანდარტის შეცვლა არ მოითხოვს გასული პერიოდების კორექტირებას.

7. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა, დაშვებები და შეფასებები

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში იმ მუხლის ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯის განმარტებას და შემდეგ კრიტერიუმებს: - მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა; და - მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. თუ არ აღიარდება მუხლი, რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, ამის გამოსწორება არ შეიძლება არც გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით და არც განმარტებით შენიშვნებში ან სხვაგან რაიმე განმარტებითი ინფორმაციის გამჟღავნების გზით. ამგვარი შეფასებები ცალ-ცალკე კეთდება ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მუხლისთვის და ასევე ინდივიდუალურად უმნიშვნელო მუხლებისგან შემდგარი დიდი ჯგუფისთვის. აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება შეფასება არის ფულადი სიდიდეების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს პროცესი გულისხმობს შეფასებისთვის გარკვეული საფუძვლის შერჩევას. ფასს 13 სტანდარტი ადგენს, შეფასების რომელი საფუძველი უნდა გამოიყენოს საწარმომ სხვადასხვა ტიპის აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასებისთვის. შეფასების ორი ყველაზე გავრცელებული საფუძველია პირვანდელი ღირებულება და რეალური ღირებულება: - აქტივების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. ვალდებულების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან ვალდებულების სანაცვლოდ მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის. ამორტიზებული პირვანდელი ღირებულება არის აქტივის ან ვალდებულების პირვანდელ ღირებულებას პლუს, ან მინუს მისი პირვანდელი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ადრე აღიარებული იყო როგორც ხარჯი, ან შემოსავალი; - რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ გარიგებაში. ისეთ სიტუაციაში, როდესაც ნებადართულია ან მოითხოვება რეალური

ღირებულების შეფასება. თავდაპირველი აღიარებისას საწარმომ აქტივები და ვალდებულებები უნდა შეაფასოს პირვანდელი ღირებულებით, თუ წინამდებარე სტანდარტით სხვა საფუძვლის გამოყენება არ მოითხოვება, როგორიცაა, მაგალითად რეალური ღირებულება.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც საწარმოს ფინანსურ აქტივს/ვალდებულებას. საწარმო ძირითად ფინანსურ აქტივებსა და ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არ არის შესაძლებელი, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე და მათი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია აქტივებს და ვალდებულებებს ანგარიშგებაში წარმოადგენს, როგორც მოკლევადიანს ასევე გრძელვადიანს. მოკლევადიან აქტივად აღიარებს აქტივს, თუ მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადა არ აღემატება ერთ წელს, ხოლო გრძელვადიანად თუ ვადა აღემატება ერთ წელზე მეტს.

ასევე ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიანად, თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია მიმდინარე საოპერაციო ციკლის განმავლობაში, ხოლო გრძელვადიან ვალდებულებად აღიარდება ყველა სხვა დანაჩენი (მრავალწლიანი ბანკის სესხი, ფინანსური იჯარა)

ძირითადი საშუალების ერთეულის ღირებულება მოიცავს შეძენის ღირებულებას, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და ექსპლუატაციაში შესვლისათვის საჭირო აუცილებელი დანახარჯები. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, რომელსაც აკლდება ძირითადი საშუელებების დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი(ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ცვეთის დაანგარიშებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რომელიც გულისხმობს ცვეთის დარიცხვას სავარაუდო სასარგებლო მომსახურების თვეების პროპორციულად. ცვეთის თანხა აღიარდება ადმინისტრაციულ ხარჯებში, რომელიც თავისთავად თავს იყრის მოგება-ზარალის უწყისში. კომპანიას ძირითად საშუალებებზე არ აქვს გაანგარიშებული სალიკვიდაციო ღირებულება, ვინაიდან საწარმოს ხელმძღვანელობის მხრიდან არ ხდება დაშვება, რომ მომავალში აღნიშნული ძირითადი საშუალება გაიყიდება.

ძირითადი საშუალების განახლება-შეკეთებისათვის გადახდილი თანხები, რომლებიც გაწეულია ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ფარგლებში კომპანიის მხრიდან აღიარდება მიმდინარე ხარჯად მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება იმ შემთხვევაში თუ მოხდა კონკრეტული ძირითადი საშუალების რეალიზაცია ან შემდგომი გამოყენებიდან

მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების გასვლისას სხვაობის გათვალისწინებით განისაზღვრება მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი ან სხვა ხარჯი.

კომპანიისათვის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს შეძენილი კომპიუტერული (საბუღალტრო) უზრუნველყოფა , რომელიც აღიარებულია თვითღირებულების მოდელით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია.

8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულადი სახსრები ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი შედგება კომპანიის ბანკის ანგარიშზე და სალაროში არსებული ფულადი ექვივალენტებისგან.

აგრეთვე საგარანტიო თანხები, რომელებსაც კომპანია იხდის შესრულებული სამუშაოს პროპორციულად, სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში ეს თანხები იმყოფება დამკვეთის ანგარიშზე, მაგრამ კომპანია მაინც აღრიცხავს როგორც მის მფლობელობაში არსებულ ფულად სახსრებს, რადგან ვადის გასვლის შემდგომ როგორც წესი აღნიშნული თანხები ირიცხება საბანკო ანგარიშზე.

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება აღიარდება მას შემდეგ რაც კომპანიამ მოახდინა სახელშეკრულებო დავალების შესრულება, ფორმა 2-ის, შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშფაქტურის წარდგენა.

10. ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ისეთი ელემენტები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექმომსახურებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები აღიარდება წინამდებარე განყოფილების შესაბამისად, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც მარაგი.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში

ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექმომსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

11. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

საწარმო მარაგების შეფასებას ახდენს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, ამ პუნქტების მიხედვით, საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიაროს გაუფასურების ზარალი.

12. მოკლევადიანი ვალდებულებები:

ვალდებულების აღიარება ხდება ყოველდღიურად უწყვეტად, როდესაც ხდება საქონლის და მომსახურეობის გაწევიდან წარმოქმნილი ვალდებულება. აღნიშნული ტიპის ვალდებულება და ასევე ბანკის კრედიტისთვის გადასახდელი პროცენტები კომპანიის მიერ აღიარდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება

13. სესხები

სესხის აღება 2019 წელს მოხდა 30.05-80750 ლარის ოდენობით , 15.07- კიდევ დაიმატა კომპანიამ 50000 ლარი , 22.07- 100000 ლარი, 28.08-40000 ლარი, 26.09- 410000, 25.11-200000 და 25.12 -1500 ლარი. დაფარვა ასევე მოხდა ეტაპობრივად 08.11-8264ლარი, 09.12-9752. ლარი, 25.12-270750 ლარი. 2019 წლის ბოლოს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის კომპანიის დავალიანება საბანკო სექტორის მიმართ შეადგენდა 593485 ლარს.

2020 წლის 15 იანვარს დავამატეთ სესხი 150000 ლარი, 31 იანვარს 50000 ლარი, 7 თებერვალს 98500 ლარი, 24 ივნისს 300000, ხოლო 25 დეკემბერს 300000 ლარი, 2020 წლის ბოლოს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის კომპანიის დავალიანება საბანკო სექტორის მიმართ შეადგენდა 709353 ლარს.

2021 წლის საბანკო ურთიერთობებს რაც შეეხება, სესხის აღარ დაგვიმატებია, მხოლოდ ვფარავდით წინა წლის სესხებს და 2021 წლის ბოლოს სასესხო ვალდებულება შეადგენდა 504618 ლარს. 2022 წელს ავიღეთ კიდევ დამატებით ორჯერ სესხი, 2022 წლის 21 სექტემბერს 450 000 ლარი, ხოლო 27 დეკემბერს 410 000 ლარი, სესხის მიზნობრიობა იყო ძირითადი საშუალების შეძენა, კერძოდ მძიმე ტექნიკა ჩვენი სამსახურის სპეციფიკიდან და საჭიროებიდან გამომდინარე.

2023 წლის საბანკო ურთიერთობას რაც შეეხება, წლის დასაწყისში სესხის მოცულობა იყო 1147308, წლის განმავლობაში სესხის ძირის შემცირება მოხდა 617017 ლარის ოდენობით, ხოლო 2023 წლის 23 მარტს მოხდა 4000000 კრედიტის დამატება ტექნიკის შესაძენად.

2024 წელს საწყისი ნაშთი სასესხო ვალდებულების იყო 930291 საიდანაც მთელი წლის განმავლობაში დაიფარა 418210 ძირი თანხა.

14. საგადასახადო ვალდებულებები:

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით.

კომპანიას 31.12.2023 წლის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულება გააჩნია მიმდინარე დღგ-ს დარიცხული გადასახდელი, რომლის გადახდის ვალდებულება დადგა 2024 წლის 15 იანვარს.

15. სააქციო კაპიტალი:

საზოგადოების სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (სააქციო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ რომლებიც განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის არის აღიარებული, როგორც გადახდილი კაპიტალი.

16. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი (დივიდენდები)

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი ასახულია ქვემოთ:

შპს პარმას გაუნაწილებელი მოგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1323717 ლარს. საანგარიშგებო წლის განმავლობაში განაწილებული დივიდენდი შეადგენდა 458204 ლარს, 2022 წლის მოგება შეადგენს 980034 ლარს , შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 1765756 ლარს. გაუნაწილებელი მოგება შემცირებულია 92451 ლარით 2019 წლამდე არსებული საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, სრულად გამოქვითული ძირითადი საშუალებების ცვეთით და 12660 ლარით.

2023 წლის დასრულებული წლისათვის გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 1439796, რომელიც შემცირებულია 371517 დივიდენდის განაწილებით და სრულად გამოქვითული ძირითადი საშუალებების ცვეთით.

17. შემოსავლების აღიარება:

შემოსავლის აღიარება აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმო შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარდგენილია) იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. შემოსავლის

აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

18. ხარჯების აღიარება:

ხარჯები ხარჯების აღიარება აქტივებისა და ვალდებულების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმო აღიარებს ხარჯებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მისი წარდგენის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

განხილული ხარჯების გარდა არის კიდევ ობიექტის წარმოებისათვის შეძენილი მასალები და ინვენტარი, ასევე ძირითადი საშუალებები, რომელიც განხილულია მოგება/ ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ანგარიშგებაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Statement of Financial Position	12/31/2023	12/31/2024
აქტივები	**Assets**		
გრძელვადიანი აქტივები	**Non-current assets**		
ძირითადი საშუალებები	Property, plant and equipment	2,320,918.23	2,399,873.00
საინვესტიციო ქონება	Investment property	-	-
არამატერიალური აქტივი	Intangible assets	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	Other long-term receivables	-	-
სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები	Other long-term investments	-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	Investments in associates	-	-
		2,320,918.23	**2,399,873.00**
მოკლევადიანი აქტივები	**Current assets**		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	Cash and cash equivalents	643,276.19	392,140.00
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	Trade and other receivables	96,542.06	1,115,661.00
მარაგები	Inventories	30,868.69	16,052.00
წინასწარ გაწეული ხარჯები	prepaid expenses	-	-
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	Dividends and Interest Receivables	-	-
სხვა მინდინარე აქტივები	Current assets - other	-	-
		770,686.94	**1,523,853.00**
მთლიანი აქტივები	**Total assets**	**3,091,605.17**	**3,923,726.00**
მთლიანი კაპიტალი	**Equity**		
საწესდებო კაპიტალი	Charter Capital	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	Retained Earnings	1,439,796.58	2,949,755.37
გადაფასების რეზერვი	Revaluation Surplus	-	-
		1,439,796.58	**2,949,755.37**
ვალდებულებები	**Liabilities**		
გრძელვადიანი ვალდებულებები	**Non-current liabilities**		
გრძელვადიანი სესხები	Borrowings	-	-
ანარიცხები	Provisions	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	Other long-term liabilities	-	-
			-

მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	Borrowings	930,291.22	512,081.00
გადასახდელი ხელფასები	Salary Pyebles	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	Trade and other payables	572,940.95	437,725.00
საგადასახადო ვალდებულებები	Current tax liability	148,576.42	24,165.00
გადასახდელი პროცენტი	Interest Payables	-	-
გადასახდელი დივიდენდი	Dividend Payables	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	other payables	-	-
		1,651,808.59	**973,971.00**
მთლიანი ვალდებულებები	**Total liabilities**	**1,651,808.59**	**973,971.00**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	**Total liabilities and equity**	**3,091,605.17**	**3,923,726.37**

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	**12/31/2023**	**12/31/2024**
ამონაგები	22,046,606	31,508,288
თვითღირებულება	(17,825,738)	(28,430,354)
საერთო მოგება	**4,220,869**	**3,077,934**
სხვა შემოსავლები	-	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(4,027,911)	(1,826,800)
მიწოდების დანახარჯები	-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	-	-
სხვა ხარჯები	-	-
საოპერაციო მოგება	**192,958**	**1,251,134**
ფინანსური შემოსავალი	34,699	-
ფინანსური ხარჯი	(157,442)	(133,332)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	220	-
მოგება დაბეგვრამდე	**70,435**	**1,117,802**
მოგების გადასახადი	-	-
პერიოდის მოგება	**70,435**	**1,117,802**
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით	-	-
პერიოდის მთლიანი სრული	**70,435**	**1,117,802**

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო [illegible]	გადაფასების [illegible]	გაუნაწილებელი მოგება [illegible]	მთლიანი კაპიტალი [illegible]
2023 წლის 1 იანვარი	**-**	**-**	**-**	**1,765,356**
მოგება წლის ბოლოს	-	-	70,435	**70,435**
სხვა სრული შემოსავალი	-	-		**-**
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	70,435	**1,835,791**
გაცემული დივიდენდი	-	-	395,994	**395,994**
2023 წლის 31 დეკემბერი	**-**	**-**	**-**	**1,439,797**
მოგება წლის ბოლოს	-	-	1,117,802	**1,117,802**
სხვა სრული შემოსავალი	-	-		**-**
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,117,802	**2,557,599**
გაცემული დივიდენდი	-	392,157	-	**-**
აქციების გამოშვება	-	-	-	**-**
2024 წლის 31 დეკემბერი	**-**	**392,157**	**1,117,802**	**2,557,599**

	12/31/2023	12/31/2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
- მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	25,103,781	32,221,325
- მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(18,646,304)	(30,909,921)
- გადახდილი ხელფასები	(2,001,739)	(1,001,972)
- გადახდილი გადასახადები	(1,697,010)	(1,068,012)
- დაბრუნებული გადასახადები	22,220.59	69,254
-საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გადახდები	(1,151,391)	(104,757)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**1,629,557**	**(794,083)**
ფულადი ნა კადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
-ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,310,465)	-
- ძირითადი საშუალებების გაყიდვა	79,911	27,255
-მიღებული დივიდენდი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(1,230,554)**	**27,255**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
-სესხის აღება	400,000	-
- სესხის დაფარვა	(616,808)	418,210
- გადახდილი პროცენტები	(152,500)	97,481
- გადახდილიდივიდენდები	(300,000)	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	**(669,307)**	**515,692**
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	**8,524.96**	**-**
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	**(261,779)**	**(251,136)**
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	**905,056**	**643,276**
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	**643,276**	**392,140**
	643,276	**392,140**

2023 წელი

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობა	სპეციალური ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარ	ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2022	-	-	-	1,429,739.00	2,216.00	-	-	1,431,955.00
შემოსვლა	-	-	-	1,510,531.00	-	-	-	1,510,531.00
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	(319,450.00)	-	-	-	(319,450.00)
31 დეკემბერი 2023	-	-	-	2,620,820.00	2,216.00	-	-	2,623,036.00

ცვეთა და გაუფასურება

2023 წლის ცვეთა	-	-	-	247,857.00	1,030.00	-	-	248,887.00
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	-	-	247,857.00	1,030.00	-	-	248,887.00

წმინდა საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2023	-	-	-	2,372,963.00	1,186.00	-	-	2,374,149.00

2024 წელი

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობა	სპეციალური ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარ	ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2023	-	-	-	2,372,963.00	1,186.00	-	-	2,374,149.00
შემოსვლა				311,074.00				
გადაფასება	-	-	-	392,157.00	-	-	-	392,157.00
გასვლა	-	-	-	(188,723.00)	-	-	-	(188,723.00)
	-	-	-	2,887,471.00	1,186.00	-	-	2,577,583.00

ცვეთა და გაუფასურება

2024 წლის ცვეთა	-	-	-	311,534.00	406.00	-	-	311,940.00
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	-	-	-	311,534.00	406.00	-	-	311,940.00

წმინდა საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2024	-	-	-	2,575,937.00	780.00	-	-	2,265,642.68

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2024	2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,700.95	178,823.11
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	134,410.98	188,827.80
ხარისხის გარანტია	615,659.15	-
სულ	**752,771.1**	**367,650.91**

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1,115,661.00	96,542.06
გადახდილი ავანსები	-	-
სულ	**1,115,661.00**	**96,542.06**

მარაგები

	2024	2023
საქონელი	16,052.00	30,868.69
სხვა სმფ	-	-
სულ	**16,052.00**	**30,868.69**

საგადასახადო აქტივები

	2024	2023
ხაზინის ერთიან კოდზე არსებული ზედმეტობა	-	-
ქონების გადასახადის მიმდინარე გადასახდელი	24,311.00	19,057
მიღებულ ავანსზე გადახდილი დღგ .		-
სულ	**24,311.00**	**19,057**

სესხები

	2024	2023
სესხი ბანკის	512,081.00	930,291.22
გრძელვადიანი სესხი	-	-
სულ	**512,081.00**	**930,291.22**

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულება	437,725.00	572,940.95
მიღებული ავანსები		-
სულ	**437,725.00**	**572,940.95**

12.ამონაგები

	2024	2023
საქონლის გაყიდვა	31508288.14	22,046,606.44
სულ	**31,508,288.14**	**22,046,606.44**

	2024	2023
გაყიდული/შეძენილი საქონელი	229,548.00	49,376.00
სულ	**229,548.00**	**49,376.00**

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	1,232,268.00	3,441,838.00
საკანცელარიო ხარჯი	897.00	1,552.00
კომუნიკაციის ხარჯი	5,148.00	4,600.00
ცვეთა და ამორტიზაცია	312,451.83	249,488.00
დაზღვევის ხარჯი	5,465.00	5,450.00
მივლინების ხარჯი	-	-
ბანკის მომსახურების ხარჯი	103,190.00	67,966.00
რემონტის ხარჯი	256,828.00	300,523.00
ოჯარის ხარჯი	17,500.00	21,000.00
საწვავის ხარჯი	246,060.00	503,944.00
სულ	**2,179,807.83**	**4,596,361.00**

	2024	2023
სესხის პროცენტი	97,481.00	152,709.00
სხვა ფინანსური ხარჯი	(133,332.00)	(157,442.14)
სულ	**(35,851.00)**	**(4,733.14)**